# პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტები შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში

**ნინო როჭიკაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: თათა ერქვანია

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო როჭიკაშვილი

25.06.2024

# აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა, დაცვის სამართლებრივი მექანიზმები და მათი იმპლემენტაციის საჭიროება შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში.

წინამდებარე კვლევის მიზანია წარმოაჩინოს ის ნაკლოვანებები, რომლებიც არსებობს დასაქმებულის პერსონალურ მონაცემების დაცვის კუთხით, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში.

შრომითსამართლებრივი ურთიერთობები კომპლექსურობით ხასიათდება. მართალია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამართალურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა ნების ავტონომიისა და თანასწორობის საფუძველზე, თუმცა ამ ურთიერთობაში დომინანტური მხარე დამსაქმებელია, ხოლო დასაქმებული შედარებით სუსტ და დაუცველ მხარეს წარმოადგენს.[1] აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს[2].

ნაშრომში მიმოხილულია დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების მოპოვების, მოპოვებული მონაცემების მოცულობისა და დამუშავების თანაზომიერების, პროპორციულობისა და მიზნობრიობის ურთიერთმიმართება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დაცვისთვის დამსაქმებელთა მიერ გატარებული და გასატარებელი ღონისძიებები. ამასთან, შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, მისი განვითარებისა და ცვლილებების ისტორია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით.

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-864-1150-09.

[2] Gloria Gonzalez Fuster, "Study on the essence of the fundamental rights to privacy and to protection of personal data", 2022, გვ.24.

განხილულია სახელმწიფოს როლი პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების აღკვეთისა და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის პროცესში.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოკვლეულია იმ ქვეყნების, როგორც ნორმატიული, ისე პრაქტიკული ასპექტები, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების იმპლემენტაცია და რომელთა პრაქტიკის გაზიარება ხელს შეუწყობს საქართველოში შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში პერსონალურ მონაცემთა დაცულობას.

საკვანძო სიტყვები: შრომითსამართლებრივი ურთიერთობები, დამსაქმებელი, დასაქმებული, პერსონალური მონაცემი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, დაცვის სტანდარტები, თანაზომიერება, პროპორციულობა, მიზნობრიობა, უსაფრთხოება, ინფორმირებულობა, მინიმიზაცია, პირადი ცხოვრება.

# Abstract

In this paper is discussed the meaning of personal data protection, protection standards, and the importance of their implementation in labor relations.

The purpose of the previous study is to identify those vulnerabilities, which we encounter in terms of the protection of employees' personal data, both at the legislative level and in practice.

Labor relations are characterized by complexity. Although, the legal relationship between employer and employee arises on the basis of the autonomy of their will and equality of the parties, however, the dominant party in this relationship is the employer, while the employee represents the weak and vulnerable party. Given this, ensuring the protection the right of respect of private life of the employee, of which personal data protection represents one of the significant aspects, is essential.

The paper critically examines the correlation between employers' acquisition of employees' personal data, the magnitude and processing methodologies involved in data procurement, the principles of proportionality and purposefulness governing such actions, and the measures currently in place or proposed by employers to safeguard personal data in accordance with international standards of data protection. Furthermore, this study delves into the legal framework of Georgia, tracing its evolution and revisions pertaining to the realm of personal data protection. The analysis encompasses an examination of the state's role in curbing unauthorized processing of personal data and its endeavors towards ensuring robust data protection measures.

Within the framework of this study, comprehensive attention is devoted to examining the normative and practical dimensions observed in countries that have adeptly instituted personal data protection standards. The insights garnered from these jurisdictions, which will be elucidated and shared, are anticipated to furnish valuable contributions toward fortifying the safeguarding of personal data within labor relations in Georgia.



Keywords: Labor relations, Employer; Employee; Personal Data; Sensitive Data; Security Standards; Confidentiality; Privacy; Purpose; Security; Awareness; Minimization; Personal Life.